რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроеба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ლექსი ასოებით ახოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელმწიფის დაბადების დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 აპრილს.

# საქართველო

## ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი

ეს მესამე წელიწადია, რაც ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი არსებობს. დღეს როდესაც იმის დამაარსებელი და გამგებელი აღარ გვყავს, როდესაც საზოგადოებაში აღძრული ალიაქოთი, ბრძოლა და ვნება დიდი ხანია დაცხრა, როდესაც მეტად აღულებული მაჭარი გადაბრუნდა, ჩადგა და ღვინო დადგა, ჩვენც შეგვიძლია ამ სამის წლის ღვინოს თავი ავხადოთ და ვნახოთ იმის ქაშნიკი, მოვიხსენოთ ღირსება და ნაკლულევანება იმის დამყენებელისა უშიშრად. იმედი გვაქვს ამითი არც არავის ავაღელვებთ, არც მეტად გავაჯავრებთ, რომ იმის დამბაჩისა და ხმლის ტრიალისა გვეშინოდეს.

რაც მაშინ შეუცდომელი ჭეშმარიტება გვეგონა, შეიძლება ახლა, როდესაც ჩვენი ბანკი ცხოვრების დარჯაკში გატარებული შეიქნა, ისე მტკიცე ჭეშმარიტებათ აღარ მოგვეჩვენოს, დღეს ჩვენ იმისი ღირსება და ნაკლულევანება იმდენათ გამოცდილი გვაქვს, რომ ყოველი მოწინააღმდეგე და მომხრე დიდის ყურადღებით მოგვისმენს; შეიძლება დაგვეთანხმოს, შეიძლება არა, მაგრამ სიტყვა-პასუხის კრიჭას კი აღარ აგვიკრავს, როგორც ბანკის დაარსების დროს შეამთხვიეს ჩვენის ახალ-გაზრდობის მაშინდელს წარმომადგენლებს. მაგრამ მაშინდელი გარემოება და ახლანდელი შორის-შორს არის. მაშინ რომ აღელვებული მაჯის ცემა, გულის-ფრიალი და გაშმაგებული ხმალის ტრიალი ბრძანებლობდა, იმის მაგიერათ ახლა გულდამშვიდებული და დამჯდარი ჭკუა მუშაობს. ჩვენი საზოგადოება გამოცდილებით შეიარაღებული გონების თვალით უყურებს ახლა იმ საქმეს, რომლითგანაც ჩვენ ბევრს სიკეთეს მოველით მომავალში. ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მით უფრო ნაყოფიერი იქნება მომავლისათვის საზოგადოების მიუდგომელი მოქმედება მომავალს კენჭის ყრაში და ის არ აჰყვება იმ ბატონების რჩევას, რომელთაც წინათვე დაპირებული აქვთ ბანკში, სასამართლოებში და შკოლებში სამსახური, რომელთაც დაპირებული აქვთ სხვა-და-სხვა ჩვენი გამოჩენილი ადვოკატებისაგან საქმეების მოგება. ვერც სასამართლოში თითო-ოროლა სამსახურის გამოცვლა, ან ბანკში აცენჩიკობა, ან კიდევ საჩივრების მოგება ვერ ასარგებლებს და ვერ გაამდიდრებს ჩვენს საზოგადოებას. ბანკი საზოგადო საქმეა, საყოველთაოთ კეთილის მიმნიჭებელი; იქიდან იაფათ და ადვილათ სესხის გამოტანა რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ასარგებლებს, მემილიონეებსაც ვერ ასარგებლებს მთელს საზოგადოებას ორი-სამი დღის სამსახური, ან ორი-სამი კაცის ჩერძო დაჯილდოვება.

ბანკი იმდენათ საყოველთაო კეთილდღეობის აღმძვრელია, რომ აქ კერძო შეპირებით საქმის წაყვანა და ერთის და ორის დაფლეთილის ჯიბის გამოკერება მთელს საზოგადოების შეჭირვებულს მდგომარეობას ვერ მოეხმარება და ამ გვარი დაპირებით და მოსყიდვით კი შეიძლება იმდენათ წახდეს ბანკის საქმე, რომ ვინც ამ ქამათ ორი დღის ლუკმის აღებით მოისყიდება, მომავალში იმასვე დაეკარგოს მუდამი ლუკმის ღონისძიება. ეს სრულებით იმაზეა დამოკიდებული, რამდენათ კარგა მომზადებულს, შრომის მოყვარეს, სწავლისა და დაუცხრომელად მოქმედების კაცებს მკვირცხლი ჭკუისა და კეთილი ზნეობისა პირებს მივანდობთ ხოლმე არამც თუ ბანკს, ყოველს საზოგადო საქმეს. დღეს კი ჩვენ მარტო ბანკზე გვაქვს ლაპარაკი.

* * *

მღეხების განთავისუფლება ჩვენს წინათვე მოუმზადებელს საზოგადოებაში სწორეთ მეხის თავზე დაცემას ემგზავსებოდა. ვის არ ახსოვს ის დრო, როცა ჩვენი მოხუცებულები ცრემლის კამარის დენით ეთხოვებოდენ თავის ურწინდელს გლეხებს; ბევრი იმათგანი ამ მოულოდნელმა შემთხვევამ უდროოთ გადიტანა. დანარჩენები კი უქმი პურის ჭამას შეჩვეულები სწორეთ თავზარ დაცემულები შესჩივოდენ მრუდსა და მართალს: „რალა გვეშველება, რილათი ვსჭამოთ პური, როცა შინა ყმები გაგვექცევიანო“. ეს იყო ისეთი დრო, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ყოველფერს მოაქმედებინებდა, ყოველფერს სიხარულით გაამედვინებდა, ოღონდ კი ცოტაოდენი იმედი მიეცა კაცს, რომ იმის უცნობს და გამოუცდელს მდგომარეობას ცოტაოდენი სალავათი მაინც მიეცემოდა.

აი, ამ გარემოების ძალით ის ხელს იღებდა იმ ფულების მეათედზე, რომელნიც იმათთვის დაკარგულს გლეხის სულზე ეძლევოდა. მაშინ ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ საადგილ-მამულო ბანკის დაარსება იმავე წამს გამოაბრუნებს იმათს ცხოვრებას. ამიტომაც შეადგინეს თანხა ოთხასი ათასი მანეთი და ამოირჩიეს კამისიის წევრები, რომელთაც საჩქაროთ უნდა აესრულებინათ საზოგადოების სურვილი დაეარსებინათ საადგილ-მამულო ბანკი მიწის ნაწარმოების გასაძრავლებლათ.

* * *

ვინ იყვნენ კამისიის წევრები? ჩვენი სამი-ოთხი კლასის კურს შესრულებული ძველი ჩინოვნიკები, რომელთაც ის კი იცოდენ, რა იყო ქალაქის თამაშში ბანკი; იცოდენ რა იყო на пе, уголъ отъ.... перепе, во банкъ; მაგრამ საადგილ-მამულო ბანკი, იმის ობლიგაციები და ზაკლადნი ლისტები რა იყვნენ და რა არა, ამისი ინჩიც არ გაეგებოდათ და სულაც არ გაეგონათ. შემდეგ კამისიის მოქმედება: აღარც წინ და აღარც უკან. ჩარჩა თავად-აზნაურობის ფულები ხაზინაში, ცოტა ხანს იქით გამოუხტა იმასაც ერთი აზრიებული ვირთაგვა, რომელმაც სამოც-და-ათი ათასი მანეთის ბილეთები ისე დაფქვა, როგორც გინახავთ მტვერი. ბევრი უძახეს კამისიის წევრებს, რასა შვრებით, რაუყავით ბანკის პროექტიო? კამისია კრინტსაც არ იღებდა, ან საიდან უნდა ამოეღო, რომ ბებიას ხოკრებში არა იყო-რა. გავიდა ექვსი წელიწადი და წარმოსდგა ნ. პრინცი, ქუთაისის საგლეხო პრისუტსტვიის წევრი, და უთხრა ჩვენს საზოგადოებას: მე შეგიდგენთ, ბანკის პროექტს, თუ რვა ათასს მანეთს მომცემთო.

* * *

ვინ იყო იმ დროს ჩვენი მოქმედი ახალ-გაზრდობა? გიორგი ლოლაბერიძე და ნიკოლოზ ლოლაბერიძე. ესენი იყვნენ იმ დროს იმერეთის ნასწავლი და გავლენის მქონე კაცები. ისინი ჩემულობდენ იმერეთის საზოგადოების თაოსნობას, იმათ ჰქონდათ გაცხარებული ბრძოლათ. ნესტორ წერეთელთან; აქაო და ძველს გონება-გაუხსნელებს ვსდევნითო, იყო ერთი ალიაქოთი და პარტიობა. მართლაც მთელი ახალ-მოზარდი აზნაურობა, რომელსაც კეთილი გრძნობა და მიდრეკილება ეტყობოდა, იმათი მომხრე იყო. იმათ რომ ერთი ეთქვათ, ჩვენ ვითავებთ ბანკის საქმესო, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უძლურს ბანკის კამისიის წევრებს მაშინვე გარეკგამორეკდენ და იმათ მიანდობდენ; მაგრამ სამწუხაროთ ეს კაცები საქმის მაგიერათ ფაეტონებში რიხინის მეტს, ჩურჩულ-პუტუნის და ჭორიკანაობის

მეტს არას აკეთებდენ. საუბედუროთ გამოჩნდა, რომ ამ მძიმე საქმეში იმათაც იმდენი ესმოდათ, რამდენიც პირაკრულს კამისიის წევრებს. ნ. პრინცი პრაქტიკული კაცი იყო. იმან განიზრახა: ესენი აქ ყველანი გონება დაბნელებულნი არიან, ბანკის ამათ არა გაეგებათ-რა, მე რა მენაღვლება; გადმოუწერ ამათ ერთი რომელიმე ბანკის უსტავს, თუნდ ხარკოვისას, ამის ქირას ჯერ თუთხმეტი ათასს მანეთს ავიღებ და მერე ბანკის გამგებლათაც ხომ ჩემს იქით გზა არ ექნებათ; იქაც მე ამირჩევენ და მერე მე ვიცი...

* * *

გამოცხადდა თუ არა, ნ. პრინცის განზრახვა, მაშინვე არ ეჭაშნიკა ის ჩვენს საზოგადოებას. რაც ამ განზრახვას შეუდგებოდა თუმცა საზოგადოებას ჯერ კარგათ არ ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ბუნდათ კი ჰგრძნობდა, რომ აქედან კარგი არა გამოვიდოდა-რა. დაღგაცუდს გუნებაზე ჩვენი თავად-აზნაურობა; ვისგანაც ხსნას ელოდა, ვისაც თანაუგრძნობდა, ვისაც გონება გახსნილებს და მოთავე კაცებს ეძახოდა, იმათგან არც ჭლაკვი ერგო, არც ნიახური.

„კაცები არა გვყავს“, კაცებიო იძახოდა გულ-გახეთქილი ჩვენი საზოგადოება.

ამ დროს თფილისის გუბერნიაში ცხოვრებდა განსვენებული ბ. ლოლაბერიძე და სახალხო შკოლების გამართვაზე ფიქრობდა. ის მწუხარებით შესცქეროდა შორიდან თავის ბიძაშვილების ჩხირკედელაობას. „საწყალო, ჩვენო, თავად-აზნაურობავ“,—კვნესოდა გულში განსვენებული. ახირებული მგელი გამოუჩნდა ჩვენს თავად-აზნაურობის ბანკის ფულს. თუ არ მივეშველე, სწორეთ ის ფულიც ისე დაიკვრიხება, როგორც სამოცდა თორმეტი ათასი მანეთი. ბეს. ლოლაბერიძე კარგა ჰგრძნობდა თავის მოუმზადებლობას, იმას ფინანსის და პოლიტიკურ ეკონომიური მეცნიერება არ შეესწავლა; მაგრამ ჯერ კიდევ ქორფა გონებიაა და ენერგიის პატრონი იყო და ამის იმედი ჰქონდა. „შრომა ყოველსავე დასძლევსო“, იტყოდა განსვენებული. ის მაშინვე შეუდგა ბანკის და კრედიტის წარმოების შესწავლას, მაშინვე იყიდა რუსეთში გამოსული ბანკთა წესდებულების კრება, სხვა საბანკო მეცნიერების წიგნებიცა და ჩაუჯდა სწავლას ჩვეულებრივის გულს-მოდგინებით. ერთი წლის შემდეგ ის საკმაოთ მოემზადა და წავიდა ქუთაის ნ. პრინცის ოინების ჩასაფუშავათ. „ნუ გეშინიანთ, ჩვენო ბედკრულო თავად-აზნაურობავ, მე შეგიდგენთ ბანკის პროექტს და დავიხსნი ხიფათისაგან თქვენს ფულებსო“ თქვა და აასრულა. ეს ისეთი მოღვაწეობა იყო ბ. ლოლაბერიძისაგან, რომ ჩვენი შთამოება ამას ვერ დაივიწყებს. ამ მოქმედებაში ბ. ლოლაბერიძემ ცხადათ დაუმტკიცა ჩვენს ხელ-ფეხ-შეკრულს საზოგადოებას, რომ იმის საშოშიაც მოიძებნებიან ისეთი შვილები, რომ თავის მამა-პაპის ნაწარმოებს ცხოვრებას და მომავალს ბედს სხვას, გარეშე კაცს, დასაღუპავათ არ დაანებებენ. ბ. ლოლაბერიძემ ამითი გაანედლა მიმქრალი იმედი და ძარღვებში ჩამშრალი სისხლი საზოგადოების ჩვენის მომავლის ბედ-იღბალისთვის. ამას ვერ დაივიწყებდა ჩვენი საზოგადოება. რაც უნდა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა იმის ბანკის პროექტს, იმერეთის საზოგადოებას მაინც ნათლად ჰქონოდა წარმოდგენილი იმისი დიდი ღვაწლი. რომ ბესარიონ ლოლაბერიძე არა, ბანკიცა და მთელი ფულის თანხაც გაგვიქარწყლდებოდაო.

აი, ამიტომაც განიზრახა იმერეთის საზოგადოებამ იმისი დაჯილდოვება და კიდეც გაამარჯვებინა იმ დროს, როცა უფრო ქორფა და უფრო საქმის მცოდნე ახალგაზდობა გამოედავა და თვალსაჩინოთ დაანახვა თვითონ ბ. ლოლაბერიძეს და აგრეთვე მთელს საზოგადოებასაც ბანკის უსტავის ნაკლულევანება.

დრო იყო მიწურული. ჩვენს საზოგადოებას მეტის ლოდინით მოთმინების ძაფი ჰქონდა გაწყდარი.

„რაც უნდა ნაკლულევანებით სავსე იყოსო ბანკის პროექტი, ამ ჟამათ საჭიროაო, ბანკი გაიმართოსო, რადგან დამტკიცებული პროექტი ხელში გვაქვსო. გამოვსცადოთ ცხოვრებაში და ნაკლულევანება შემდეგაც გასწორდებაო“. აი, ნამდვილი მიზეზი ეს იყო, რომ ჩვენმა საზოგადოებამ აღარ აცალა უფრო ახალს და უფრო მცოდნე ახალგაზდობას უსტავის ნაკლულევანების შესწორება. იმან მიიღო ბ. ლოლაბერიძე თავის სეფარს ქვეშ და დანიშნა გამგებლათ.

ასე გულკეთილად გადაუხადა მადლი ჩვენმა საზოგადოებამ იმის გულისთვის, რომ ბ. ლოლაბერიძემ განათავისუფლა საზოგადოების ფული დიდის ხიფათისაგან და ნ. პრინცის დახლართულ პლანებისაგან.

* * *

როგორ ისარგებლეს გიორგიმ და ნიკო ლოლაბერიძეებმა ბესარიონ ლოლაბერიძის სახელით, ან როგორ დახვდენ ისინი მაშინდელს „დროების“ გაზეთის წარმომადგენლებს, ან რა დანაშაულობა მიუძღოდათ ამ უკანასკნელებს ჩვენის საზოგადოების წინაშე?

ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

გ. წერეთელი

---

## დღიური

* * * მომავალს პარასკევს საზაფხულო თეატრში იქნება ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ მოლიერის პიესას „ექვით ავათმყოფს“ და ვოდევილს „წყალსა და პურზედ“.

* * * ამ დღეებში დაკეტილ და გარედამ ბეჭედ დასმულ პოჩტის ვაგონში შესულა ქურდი, რომელსაც რამდენიმე ალაგას გაუხვრეტია შესასვლელათ ვაგონი. სიჩქარის გამო ექვსას თუმნის მეტი ვერ წაუღია.

* * * „კავკაზში“ იწერებიან, რომ დუშეთის მაზრაში, სოფ. ახატანის გზის კეთების დროს თიანეთის მაზრის საზღვარზედ დიდმარალისში უპოვიათ საპნის მგზავსი თიხა, რომელიც ხიმიკური გარჩევის შემდეგ გამოჩენილა, რომ ის შეიძლება იხმარონ სარეცხის გასარეცხათ შპალერების და საწერი ქაღალდების მოსამზადებლათ. ამას გარდა გამოდგება თურმე ფაბრიკებში მაუდის გასარეცხათ.

* * * ჩვენ შევიტყვეთ რომ პირველში ცოტახანი კარგათ ინახავდნენ სასულიერო სემინარიის მოწაფეებს, ესე იგი უფრო რიგიან საჭმელს აძლევდნენ, მაგრამ ეხლა კიდევ დაიწყეს საძაგელი და უგემური საჭმლების მიცემა; ამასთანავე ცოტას ისე, რომ ყმაწვილები თითქმის ნახევარზე მშიერი რჩებიან; სადილზე და ვახშამზე თითო ნაირ საჭმელს აძლევენ და ისიც ისე უგემურს და ძველის მასალებისგან, რომ ყმაწვილებს ვერ უჭამიათ.

* * * დღეს დილით 13 აპრილს 10 საათზედ, ჩვეულებისა მებრ, ამოიარეს არტილერიის სალდათებმა თავიანთის ზარბაზნებითა და წამლის ყუთებით: ისეთი ჭენებით, რომ კაცს ეგონებოდა ქალაქს მტერი შემოესევიაო.

როგორც ეს სალდათები დაუპირდაპირდნენ სამასწავლებლო სემინარიას, ერთმა იმათგანმა, რომელიც იჯდა წამლის ყუთზედ და ყველას უკან მოდიოდა, ვეღარ შეიმაგრა ცხენები და დააჯახა შვიდის წლის ქუჩაზედ მოთამაშე ყმაწვილს, რომელსაც ჯერ ცხენმა ჩასცა წიხლები და მერე ზედ შუა წელზედ წამლის ყუთის თვალმა გადაუარა. ყმაწვილმა ერთი კი შეიფთხრიალა და იმ წამსვე გადალულა თვალები. გამოვიდნენ იმ უბნის ქალნი და დედაკაცები და შექნეს ვაი ვაგლახი: ზოგი წყალს მოარბენინებდა, ზოგი ყურებს უსრესდა და ზოგი ღვდლისთვის გარბოდა, მარამ სუყველა ტყუილი იყო, ყმაწვილმა კიდეც განუტევა სული. როდესაც იცნო უბედურმა დედამ თავისი შვილი, ერთი ძლიერი შეჰკივლა და იქავ დაეცა თავ-ზარ დასხმული დედაკაცი. რამდენიმე ხნის შემდეგ შეათრიეს მეზობლებმა, დედა ცალკე და შვილი ცალკე. ეს ყმაწვილი იყო ერთი აქაური ქართველი, დაბალი კაცის შვილი.

---

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

„Новое Врѣмя“-ში ბერლინიდამ იწერებიან 7 აპრილს ტელეგრამმას, რომელშიაც არის მოხსენებული, რომ სუყველა სახელმწიფოებმა განაცხადეს ალექო-ფაშის დანიშვნის თანხმობა, რომელსაც მრჩევლათ უნდა ჰყვანდეს ევროპიული დიპლომატიური კომისია. ოსმალოს ჯარები არ დაიჭერენ არც ბალ-

აკნის გასავალს და არც სხვა ალაგებს. თუ საჭიროება მოითხოვს აღმოსავლეთის რუმელიის გენერალ გუბერნატორს ნება აქვს მოიწვიოს ოსმალოს ჯარები.

# რუსეთი

„მოსკოვის უწყებაში“ სწერენ, ვითომ რუსეთის მმართებლობას კერძო ტელეგრამით უცნობებია ინგლისის მმართებლობისათვის, რომ მათ გასცენ ის პირები, რომელნიც ურევიან უკანასკნელ პოლიტიკურ საქმეებში და არიან შეხიზნულნი ინგლისში.

ამ თხოვნაზედ ინგლისის მმართებლობას უარი განუცხადებია, რადგანაც მათში კანონია, რომ პოლიტიკური დამნაშავე არ გასცენ.

ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ეს ხმა ტყუილი არისო.

## წერილი რედაქტორთან

შფ. რედაქტორო!

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ დაბა ჩურუქსუს, სადაც მე მაქვს დანიშნული ბინა, თქვენი პატივცემული გაზეთი „დროება“ ძრიელ გვიან მოდის, რადგან საფოჩტო გზა არ გვივარგა. ამის გამო ეხლახანად, ქუთაისში მყოფობის დროს შემხვდა №63-ში წაკითხვა აზიზ-მანაფ-ოღლის „შეთხუზული“ სტატია, შესახებ იმისა, თუ მე როგორ ვმოქმედებდი გაჭირებულ და დამშეულ ქობულეთლებისათვის.

თქმული ოღლი სწერს თავის სტატიაში, რომ წარსრული მარტის თვის რვასა მე მივიღე ბათუმში 4000 მანეთი, გადმოცემული მმართებლობისგან ქობულეთის მშიერებისათვის დასარიგებლათ და გარდა ამა ფულებისა მივიღე კიდევ ასოცი მანეთი რუსეთიდგან, მადლიანი კაცებისაგან შემოწირული—ამავე ქობულეთლებისათვის. მე მოვბრუნდი ქობულეთში თუ არა, ვითომც დაქებარებიოს ქობულეთლები და გამოეცხადებიოს იმათთვის, რომ იმათ მიეცემათ ამ ფულებიდამ კომლზე ათი შაური იმ პირობით, რომ იყიდონ ამ ფულებით თითო ფუთი სიმინდი. დიდათ გვიკვირსო, უკვირს უფ. ოღლის, თუ რა საჭირო იყო ჩემი განკარგულება სიმინდის ყიდვის თაობაზედ, მით უმეტეს, რომ ფუთი სიმინდი ყიდვა შეუძლებელი არის ათ შაურათაო; ამას გარდა ჩემი გამკიცხავი დარიგებას მაძლევს, რომ აღნიშნული 4120 მანეთი უნდა გამეყო მცხოვრებლების რიცხვზედ და რაც თვითვეულს შეხვდებოდა, ის უნდა დამერიგებინა. ახლაკი, რადგან თვითვეულს ათ-ათი შაური მივეცი, დანარჩენი ფული სად წავიდაო, ჰკითხულობს უფალი ოღლი? ყველა ამას ის დაძინებს, რომ კარგი იქნებოდაო ამ საქმეს ჯეროვანათ გამინჯავდენ და შეიტყობდენ—თუ ვის რამდენი მიეცა და რა დარჩა მიღებული ფულებისაგან.

იმავე სტატიით უფ. აზიზ-მანაფ-ოღლი გაცნობებსთ თქვენ, უფალო რედაქტორო, რომ მახლობლათ ქობულეთისა არის ერთი დიდი ტყე, რომელსაც იძახოდენ „სახვანთქრო ტყესა“ სიგრძით(?) (თუ სივრცით?) 12,000 ოთხ კუთხი საჟენი, რომელშიაც ძვირფასი ხეები იყო აქამდინო, მაგრამ ეხლა ისრე ალაოხრე' და გადასჭრეს ოზურგეთის მაზრის მცხოვრიბლებმაო, რომ მეოთხედ ფასათაც აღარა ღირს ის ტყეო. გარდა ამისა, თუმცა გრიგოლ ბატონიშვილმა მომწერა მე, რომ—საჭიროთ თუ დაგინახო, მიეცე ნება უსახლ კარო ქობულეთლეშს ხეების მოჭრისა, მხოლოდ ბილეთით და უფასოთ, მაგრამ მე ვითომც იმის მესაედსად არ ვაძლევდი ქობულეთლებს, რასაც ვითომც გარეშე პირებზე ვყიდდი.

უფალო რედაქტორო! ზემორე ამისა მოხსენებული სტატია „გურული“ თათრის აზიზ-მანაფ-ოღლისა, რომ არის დასაწყისიდამ ვიდრე დასასრულამდის აღვსებული სიცრუვითა, თქვენ ამას ეხლავე დაინახავთ შემდეგთ გარემოებათაგან.

უფალი კორრესპონდენტი არ სტყუის, რომ მე მივიღე 4000 მანეთი დასარიგებლათ ქობულეთის დამშეულთ მცხოვრებლებისათვის, რომლების რიცხვი შეადგენს 4400 სულზე მეტს, ასე, რომ მიღებული 4000 მანეთი რომ გამეყო, თვითვეულს სულის შეხვდებოდა ოთხაბაზ ნახევარი და ცოტა მეტი 90$^{4}/_{5}$ კაპ. ამისათვის მესაუმჯობესოთ დავინახე სულზე თითო მანეთი დამერიგებია, რა საკვირველია, ოკრუჟნის ნაჩალნიკის ნება-დართვით, მაგრამ რადგან ამნაირათ ფულის განაწილების შემდეგ მე მაკლდებოდა 400 მანეთამდე, ამისათვის 137 მანეთი უფალს ოკრუჟნის ნაჩალნიკს გრიგოლ გურიელს გამოვართვი, დანარჩენი ფულიც, რაც კიდევ მაკლდებოდა, სანამ აქას მივიღებდი იმავე წესით, რა წესითაც ზემომოხსენებული 4000 მანეთი მივიღე, უნდა მეშოვნა კერძოთ და ამ გვარად ერთ დროს დამეკმაყოფილებია ყველა დამშეულები.

ფულებს ვარიგებდი ამ წესით:

თვითოეულის სოფლიდან, რომლის დამშეულებსაც უნდა მიეღოთ ფული, მყავნდნენ მოწოდებულნი: მუხტარი (მამასახლისი), სანი (მისი კანდიდატი), იმამი (კეთილსინიდისიანი) და ორნი უპირველესნი სოფლის კაცები, ამათ გარდა ესწრებოდნენ ყოველი სოფლის დაკმაყოფილების დროს მაზრიდამ აღმორჩეულნი მეჯლისები, ესეიგი, ყადი და სამოსუდიები. დავიწყე ამ წესით ფულების დარიგება მცხოვრებლებზე თუარა, მობრძანდნენ ბათუმიდგან უფალი ოკრუჟნის ნაჩალნიკი თ. გრიგოლ გურიელი დარწმუნებული მისდამი ოკრუჟნის უპრავლენიის საქმის მწარმოებელი—მამულოვი და ამ პირების თანადასწრებით ოთხი შემდეგი სოფლები დავაკმაყოფილე: ხუცუბანი, ქობულეთი, ალამბარი და აჭყვის-თავი. ფულები არც კომლზედ და არც იმდენი დაურიგე, როგორც ამას უფ. ოღლი თავის სტატიაში გაუწყებსთ, არამედ დაურიგე სულზედ თითო მანეთი და ამ ფულს ვაძლევდი მოწოდებულთ ყოველი კომლიდამ სახლის უმფროსებს და ზემო მოხსენებულ პირთა თანადასწრებით, და როდესაც თვითეული სოფლის დამშეული მიიღებდა წილ ხდომილ ფულს, სახელობით სიას და სოფელზედ მიღებული ფულების რაოდენობას არწმუნებდნენ ზემოთქმულნი პირები და მეც, აგრეთვე ვართმევდი განსაკუთრებით ხელწერილს მთელი სოფლისას, რომ ეს ფულები შემდგომისათვის სოფლებმა გადუხადონ ხაზინას. საკვირველია, რომ უფ. ჭეშმარიტების მოყვარე კორესპონდენტს ესეც არა სცოდნია, რომ ის ფული რაც მივიღე და შემდგომშიაც მიიღება, არის ხაზინიდგან მოცემული სესხათ და არა საჩუქრათ; აქედამ სჩანს, რომ სოფლები გადიხდიან იმდენ ფულს რამდენიც მიუღიათ და არა მეტს. და მე როგორც დარიგებითი სიები, აგრეთვე ხელ წერილები უნდა წარვადგინო მთავრობასთან რომელიც, დარწმუნებული ვარ ბრძანდებოდეს უფ. აზიზ-მანაფ ოღლი, რომ თუმც მთავრობამ დაინახა ჩემგან მიღებული ფულების რაოდენობა უმეტესი მცხოვრებლებზე დარიგებული, ის ალბათ პასუხს მომთხოვს და უთუოთ არც მარტო სტატიით გაზეთში გამოაშკარებას დამაჯერებს.

როგორც ფულების თაობაზე მართალს სწერს უფალი „გურული“ აზიზ მანაფ-ოღლი, ისე მართალი გახლავსთ მისი მოხსენება ტყის თაობაზედ. ხსენებული ტყე შეიცავს 13000 დესიატინას და არა 12000 ოხკუთხიან საჟენს (სიგრძით). თქმულის ტყის დასაცველათ მე მყავდნენ დანიშნულნი დედი-ალა-უარსილ-ოღლი და ექვსი სხვა თათრები, მცხოვრებნი მახლობლათ იმავე ტყისა; მე ვისაც უსახლო თათარს ნებას მივსცემდი ან მივსცემ ტყის მოჭრისას, ყველას ჩემგან ბარათი ეძლევათ ტყის მცველთან ამნაირათ: ნება ეძლევის ჩემგან ამას და ამას ერთი სახლის ანუ ერთი ბეღლის ხეების მოჭრისა; უამისოთ ტყეში ვერავინ უნდა შევიდოდა. ჩვიდმეტს თებერვალს ერთმა თათარმა მითხრა, რომ მისმა მეზობელმა შეიყვანა ტყეში ოზურგეთის უეზდის სოფლის ლეხაურის მცხოვრები და ერთათ მუშაობენო. მე იმავ დღესვე დავიბარე ტყის მცველი დედი-ალა-უარსილ-ოღლი, დავატუსაღე და თქმულს ტყეში გავგზავნე ჩინოვნიკი ი. ჯაყელი გამოსაკვლევათ, თუ ვისი რამდენი იყო მოჭრილი ტყე, გამოკვლევისა მებრ თქმულის ჩინოვნიკისა აღმოჩნდა განცხადება თათრისა მართალი და ხეები დავაყრევინე, რომელიც უნდა მივსცე უსახლო ღარიბ ქობულეთელ მცხოვრებლებს ტყის მცველი დედი-ალა-უარსილოღლი კი მაშინვე გამოვცვალე და მისი ადგილი მივეცი ხეშუტ-აღაბოსხაპიეიშვილს ზემოხსენებულის ტყის დაცვისათვის მე მაქვს ჯეროვანი ღონისძიება მიღებული და თუმცა უფ. აზიზ-მანაფ-ოღლი ჰხედავს

სხვანაირათ და აქვს რაიმე ამის დასამტკიცებელი საბუთი, ვსთხოვ წარმოადგინოს თავის სახელის და გვარის გამოცხადებით, რომ ყველა დარწმუნდეს, როგორც საქმის სინამდვილეში აგრეთვე იმაში, რომ რამდენათ ის სინიდისიანი, მართალი და პატიოსანი კაცი ბრძანდება.

ჩურუქსუს მაზრის ნაჩალნიკი თ. სამსონ ლორთქიფანიძე

ქ. ჩურუქსუ 9 აპრილს 1879 წელსა.

# განცხადებანი

**პირუტყვების ექიმი ნ. ი. მეშჩერსკი** ყოველს დღეს მიიღებს ავათმყოფს პირუტყვებს. ქ. ტფილისში 4-ს საათიდან 5 საათამდისინ შუადღის შემდეგ და აგრეთვე უეზდში ვინც მიიწვევს პირუტყვების საექიმოთ სხვა და სხვა საქონლის მოსარჩენლათ წავა. სცხოვრებს რიყეზედ, აჰნაზაროვის სახლში.

(3—1).

პირველ მაისიდამ დავიწყობ ტფილისში მოზიდვას ტყის მასალებს ოთხი და ხუთი წლის დახერხილებს ფიჭვის და ელის ხეებს ძალიან ხმელს. აქ იმაზედ უკეთესი მასალა არ მოიპოვება და ამიტომ ვთხოვ მყიდველს მომმართოს მე არსენალის ქუჩაზე ფულინოვის სახლებში № 31.

(3—3)

**„ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ წევრნი, გამგებელი კამიტეტის გადაწყვეტილების ალით, მოწოდებულნი არიან ამ აპრილის 22-ს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებად.** (3—3)

ქუთაისში

# ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში

**ი ყიდება შემდეგი წიგნები:**

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი**— თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ) —შედგენილი ზ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი**—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილთ**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა ზ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალი მული და მაშენიკები**—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება** — 25—

17) **„ბუტიაობა“** — კომედია აკაკისა — — — — — 20 —

18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი ზ. წინამძღვრიშვილისაგან — — — — 40 —

19) **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი** — — — — 30 —

20) **მგოსანი—ლექსები**— 20 —

21) **ანუკა ბატონიშვილი** 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

**სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.**

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

გამოვიდა და ისყიდება

# „ბუტიაობა“

ვოდევილი

**აკაკი წერეთლისა**

**ისყიდება:** ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქეროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაევერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

# „ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| ტფილის | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 13 აპრილს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი | 1 | 3: |
| ქერი ფუთი | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 30 |
| —ამერიკისა, ფუთი | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა | 1 | [illegible]8 |
| სპირტი ვედრო | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 35 |
| —ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 7 | 40 |

**ტფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდის.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—ხაბების და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანოების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—ხაბების, ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою: Тифлисъ 16 Апрѣля 1879 г.* **Типографія Меликова.** გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.